

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატად

საქართველო

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი

სესხის/კრედიტის No. IBRD 8547-GE

პროექტის No.: P149952

დავალების დასახელება: ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების ექსპერტი

კონტრაქტის ნომერი: EWHCIP/CS/ICS-03

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, მასთან დაკავშირებული მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით განხორციელდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების ექსპერტებს ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე (CV), რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება აღნიშნული მომსახურების გასაწევად.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

კონსულტანტებს უნდა ჰქონდეთ კომპეტენცია და გამოცდილება ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად, რათა მიღწეული იყოს დავალების ზოგადი და კონკრეტულ მიზნები დროის, ხარჯებისა და ხარისხის თვალსაზრისით.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ✓ სამოქალაქო ინჟინერიის ხარისხი ან მისი ექვივალენტი (მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება ITS სისტემების დიზაინსა და განხორციელებაში, საგზაო მოძრაობის მართვის ცენტრებისა და გვირაბების ჩათვლით);
- ✓ თანამედროვე ITS ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნა;
- ✓ ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა.

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი უფლებას იტოვებს გადაამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დავალებით გათვალისწინებული საქმიანობის ძირითადი ნაწილი განხორციელდება თბილისში, საქართველოში. საკონსულტაციო მომსახურების ხანგრძლივობა შეადგენს 7 თვეს, ველზე ექსპერტის ოთხთვიანი ჩართულობით. მომსახურების დაწყების სავარაუდო თარიღია 2022 წლის სექტემბერი.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება „ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების“ მეთოდით, მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურებისა და რეგულაციების შესაბამისად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის რეზიუმესთან (CV) და სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთად, ბეჭდური სახით ან ელექტრონულად, წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2022 წლის 18 აგვისტოს 15:00 საათისა**.

საკონტაქტო პირი: სალომე წურჭუმია

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი No.12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge